საქართველო

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო

2100, ქ. ზუგდიდი, ზვიად გამსახურდიას გამზ. №45

GEORGIA, SAKREBULO OF ZUGDIDI MUNICIPALITY, №45 Zv.Gamsakhurdia av. ZUGDIDI, 2100

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ქ. ზუგდიდი **6.03.2020 წ**

განკარგულება N30

მერების შეთანხმებაზე „კლიმატისა და ენერგეტიკისთვის“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მიერთების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ე.ა“ ქვეპუნქტისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 25 თებერვლის N02/2052 მომართვის შესაბამისად,

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნეს „მერების შეთანხმება კლიმატისა და ენერგეტიკისთვის“ თანახმად დანართი N1 შესაბამისად;
2. ზუგდიდის მუნიციპალიტეტი მიუერთდეს „მერების შეთანხმებას კლიმატისა და ენერგეტიკისთვის“ და ხელმოწერილ იქნეს შეთანხმება მიერთების შესახებ, თანახმად დანართი 2-სა;
3. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურმა უზრუნველყოს „მერების შეთანხმება კლიმატისა და ენერგეტიკისთვის“ პროექტთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინაცია;
4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს გიგა ფარულავას;
5. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე;
6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში. ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის.ქალაქ ზუგდიდი, რ. ლაღიძის ქ. N12).

საკრებულოს თავჯდომარე: **მამუკა წოწერია**